პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — თენგიზ ნიჟარაძე

418

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482132899**
თარიღი: **24/11/2021**
პინი: **3369**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მ/შ ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გიგზავნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიშს 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტლში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 7 ფურცელი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

399

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

კულტურის, განათლების, სპორტისა

და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III

კვარტლში გაწეული მუშაობის შესახებ

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური წარმართავს საქმიანობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის შემდგომი განვითარებისათვის.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით 2020 წელს კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

ახალი წელი წყალტუბოში ,,მუსიკალურ - თეატრალიზებული'' წარმოდგენით აღინიშნა. საკონცერტო დარბაზ ,,ივერიაში'' ა(ა)ი.პ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრთან'' არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი წრეებისა და ანსამბლ ,,ოცნების'' მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა მაყურებელი ჯადოსნურ სამყაროში ამოგზაურა. ღონისძიების ბოლოს პატარებმა საახალწლო საჩუქრები მიიღეს. ღონისძებას ესწრებოდა 800 მდე მაყურებელი, ხოლო ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა 100 - მდე ბავშვი.

თებერვლის თვეში წყალტუბოს ახალგაზრდული საკრებულოს წევრები მივლინებული იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში, სადაც შედგა მასშტაბური პროექტი "ქართული დღეები ბაქო – 2020". წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან პროექტში გაიმარჯვა 4 – მა ახალგაზრდამ.

მსოფლიოში და საქართველოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო მარტის თვიდან აიკრძალა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარება. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით დაგეგმილი რიგი ღონიძიებები გაუქმდა და განსხვავებული ფომატით წარიმართა სხვადასხვა ახალგაზრდული, კულტურული და სპორტული აქტივობები.

3 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპული წყალტუბოელი გმირების - მამუკა სამაკაშვილის, რომან უგრეხელიძისა და მამია ფანცულაის ოჯახებს დედის დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

8 მარტს ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ღვაწლმოსილ და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 20-მდე წყალტუბოელ წარმატებულ ქალბატონებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

სპორტის საერთაშორისო დღე, ყოველთვის მასობრივი სპორტული ფესტივალების სახით აღინიშნებოდა 6 აპრილს. მსოფლიოში და საქართველოში კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის გამო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური შეუერთდა "თეთრი ბარათის" ("#WhiteCard") კამპანიას და ასევე სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა დისტანციური ჩაწერა ჩვენს თანაქალაქელთან ევრო ოლიმპიელთან იაკობ ქაჯაიასთან.

მ/წლის 18 მაისს მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა ეროვნული სამოსის დღე შესაბამისი რეგულაციების დაცვით აღინიშნა. კერძოდ: სოციალურ ქსელებში კულტურის სამსახურმა დაიწყო ჩელენჯი. ნაციონალურ კოსტიუმში გადაღებული ფოტოს ატვირთა და მეგოგრბისთვის გამოწვევის გაგზავნა ჰეშთეგით #ჩვენი_სამოსი_ჩვენი_ისტორიაა გამოწვევაში უამრავმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა; ღონისძიებაში, აქტიურად ჩაერთო ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი " იალონი"-ს მოცეკვავეები.

6 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა გამოაცხადა ფოტოკონკურსი თემაზე "წყალტუბო პანდემიის დროს". ნამუშევრების ელექტრონული ვერსიების გამოგზავნა ხდებოდა ჩვენს facbook გვერდზე და ელექტრონულ ფოსტაზე. გამარჯვებული კონკურსანტი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრითა და დიპლომით.

26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისიძიება აღინიშნა წყალტუბოში. თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და ანსამბლმა ,,ნადური'' სიმბოლურად საქართველოს ჰიმნი შეასრულა.

წყალტუბოში ცნობილი ქართველი კლასიკოსი მწერლის ოტია იოსელიანის დაბადებიდან 90 წლის იუბილე სიმბოლურად აღინიშნა. 16 ივნისს ქალაქის ცენტრალურ პარკში საზეიმოდ გაიხსნა ოტია იოსელიანის ბიუსტი. ეს არის პირველი ძეგლი, რომელიც ქართული მწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს მშობლიურ ქალაქში დაუდგეს. ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირები, ცნობილი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და მწერლის ოჯახის წევრები დაესწრნენ. ბიუსტის გახსნის ცერემონიალთან დაკავშირებით ა(ა)ი.პ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტის'' ორგანიზებით ლიტერატურული პერფომანსი გაიმართა.

23 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით წყალტუბოში ოლიმპიზმისა და სპორტის საერთაშორისო დღე აღინიშნა.

სპორტულ ღონისძიებაში ა(ა)ი.პ "სპორტული კლუბების გაერთიანების" ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა ევრო ოლიმპიადის ჩემპიონ იაკობ ქაჯაიასთან ერთად მიიღეს მონაწილება.

401

8 აგვისტოს ,,საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნის“ მემორიალთან გაიხსენეს და პატივი მიაგეს 2008 წლის ომში დაღუპული ღირსეული მამულიშვილთა ხსოვნას.

27 აგვისტოს ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ბანკირის იასონ ლორთქიფანიძის 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიება. მოეწყო ფოტო და ნუმიზმატთა გამოფენები.

4 სექტემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტებს ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირები შეხვდნენ, სტუდენტობა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

19 სექტემბერს წყალტუბოს 26 მაისის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საფეხბურთო ტურნირი „სამოყვარულო ფეხბურთის თასი 2020“-ის ფარგლებში.

წყალტუბოში მსოფლიო ჯანმრთელობის უქმეები (World Wellness Weekend) აღინიშნა. 19-20 სექტემბერს მწვანე ქალაქში სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიება გაიმართა. წყლის რესურსებისა და წყალტუბოს უნიკალური რადონული წყლების თემებზე საინტერესო პრეზენტაციები წარადგინეს ქალაქ წყალტუბოს N I, II, III, IV საჯარო სკოლებისა და ა(ა)ი.პ „წყალტუბოს ახალგაზრდული ცენტრის“ საბუნებისმეტყველო წრის მოსწავლეებმა.

წყალტუბოში ცნობილი კურორტოლოგის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პროფესორის, წყალტუბოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელის, დამსახურებული მედიკოსის, არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და კვლევის ავტორის, მეუფე ნაუმის შთამომავალის ოთარ შავიანიძის ხსოვნის საღამო გაიმართა.

24-25 სექტქმბერს წყალტუბოელმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს მდინარე რიონზე გამართულ ჯომარდობაში.

25 სექტემბერს წყალტუბოში, დიდი ქართველი შემოქმედის ოტია იოსელიანის დაბადებიდან 90 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ცნობილი ქართველი მწერლები ესწრებოდნენ.

26-27 სექტემბერს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ღია სივრცე) ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გურამ ქურასბედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქართული ჭიდაობის ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო ქუთაისის, თერჯოლის, ზესტაფონის, ცაგერსა და ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა. გამარჯვებული სპორტსმენები დასაჩუქრდნენ დიპლომებით, თასებითა და მედლებით.

27 სექტემბერს ,,საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან“ ჩატარდა ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

წყალტუბოში ხელოვნების „არტ ფესტივალი“ ჩატარდა ფესტივალის ფარგლებში საკონცერტო დარბაზ "ივერიასთან" - ღია ცის ქვეშ, წყალტუბოს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა და ცნობილმა მუსიკოსებმა კახა ცაბაძემ, გია ქობულაშვილმა, ლევან გოცირიძემ, გიგა თაგაურმა, კლასიკური მუსიკის საღამო გამართეს. ფესტივალის ფარგლებში კერამიკის ვორკშოპის შედეგების პრეზენტაციაც მოეწყო.

402

28 სექტემბერს წყალტუბოში საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. პანდემიის გამო ღონისძიება სახალხო დღესასწაულის ,,შემოდგომის წყალტუბოს'' ფარგლებში რეგულაციების დაცვით ჩატარდა. დაჯილდოების ცერემონიაზე ტრადიციულად ანსამბლმა ნადურმა ,,მრავალჟამიერი'' და წყალტუბოს ჰიმნი, ხოლო სამუსიკო სკოლის ვოკალურმა გუნდმა გია ყანჩელის პოპური შეასრულეს.

29 სექტემბერს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ცნობილი ნოველისტის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადებიდან 140 წელი აღინიშნა.

28,29,30 სექტემბერს გაიმართა ნოდარ კოხრეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი, სადაც მონაწილეობას ღებულობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამოყვარულო გუნდები, გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ დიპლომები და თასები, ხოლო პირველ ადგილოსან გუნდს გადაეცა ფულადი ჯილდო.

2 ოქტომბერს, ეროვნული ვალუტის მიმოსვლიდან 25 წელი გავიდა. ამ თარიღის აღსანიშნავად ნიკო ლორთქიფანიძის მუზეუმში, (პირველი სახელმწიფო ბანკის მმართველის იასონ ლორთქიფანიძის მამულში) სკოლის მოსწავლეებისთვის საჯარო ლექცია ჩატარდა.

4 ოქტომბერს ჩვენი სამსახურისა და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მხარდაჭერით ჩატარდა სამოყვარულო ნარდის ტურნირი, სადაც საპრიზო ადგილზე გასული მოყვარული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

21 ოქტომბერს წყალტუბოში, საკონცერტო დარბაზ ,,ივერიის'' სცენაზე რევაზ კლდიაშვილის პიესის ,, საპოვნელა"-ს პრემიერა შედგა. სახალხო თეატრის მსახიობებმა რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, აღნიშნული სპექტაკლით წყალტუბოს სახალხო თეატრმა 22 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე.

ნოემბერი-დეკემბრის თვეში ჩვენი სამსახურის ფინანსური მხარდაჭერის შედეგად სამოყვარულო ფეხბურთის გუნდ „წყალტუბო“-მ 7X7-ზე ფეხბურთის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, სადაც მოიპოვა იმერეთის ჩემპიონის ტიტული.

ნოემბრის თვეში მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით საფეხბურთო კლუბ „სამგურალმა“ ითამაშა საქართველოს თასის ფინაში, ხოლო დეკემბრის თვეში მთელი წლის ძალისხმევის შედეგად, საფეხბურთო კლუბი „სამგურალი“ გადავიდა ეროვნულ ლიგაში და აწარმოებს შემდეგი სეზონისთვის მზადებას.

25 დეკემბერს ქალაქის ცენტრში საახალწლო ნაძვის ხე აინთო, შესაბამისი სახელმწიფო რეგულაციების დაცვით.

დეკემბრის თვეში სამსახურმა შეისყიდა ახალი წლის აღსანიშნავად საბავშო საახალწლო ტკბილეული ბაღის აღსაზრდელებისათვის და კალათები ტკბილეულით ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებისათვის.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით 2021 წელს კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

თებერვლის თვეში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა წარმატებულ ძიუდოისტებს შეხვდა და სპორტული კიმონოები გადასცა.

25 თებერვალს აღინიშნა საქართველოს ოკუპაციიდან 100 წლის საიუბილეო თარიღი. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი მოგვიანებით კი ჩვენი დროის გმირის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცის - მამუკა სამაკაშვილის სახელობის სკოლის პედაგოგებისა და ქალაქის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით დისკუსია გაიმართა საქართველოს ოკუპაციაზე., თემაზე „საქართველოს ოკუპაცია - 100 წელი".

3 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გრიგოლ იოსელიანმა ყველაზე ხანდაზმულ დედას - დედის დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

8 მარტს წყალტუბოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა რაიონული საავადმყოფოს კოვიდ-ცენტრის მედ-პერსონალს, აგრარული ბაზრის გამყიდველ ქალბატონებს და ღვაწლმოსილ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე - მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო კვირეულის ფარგლებში „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" ბენეფიციარებთან შეხვედრა მოეწყო. ბავშვებს მუნიციპალიტეტის მერმა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

2 აპრილს აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე აღინიშნება. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით წყალტუბოს ინკლუზიურ ცენტრში ტრადიციულად ღონისძიება გაიმართა.

9 აპრილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული ტრადიციულად დიდების მემორიალთან აღინიშნა წყალტუბოში. ადგილობრივი თვითმმართვეობის წარმომადგენლებმა პატივი მიაგო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას და გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული პანდემიიდან გამომდინარე განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. ღონისძიების ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენები დაათვალიერა და სამუზეუმო გაერთიანების აქტივობებს გაეცნო.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წყალტუბოში სხვადასხვა სახის ბავშვთა გასართობი ღონისძიებები ჩატარდა.

საკონცერტო დარბაზ „ივერიასთან", ღია სივრცეში, ა(ა)ი.პ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" ორგანიზებით სახალხო თეატრის მსახიობებმა სპექტაკლი: „იისფერას თავგადასავალი" წარმოადგინეს, რომელსაც ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების პატარები ესწრებოდნენ.

(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის აღსაზრდელების მონაწილეობით მოეწყო კალიგრაფიის ნამუშევრების გამოფენა, ასფალტზე ცარცით ხატვა, საესტრადო სიმღერები შეასრულეს ვოკალური ჯგუფის ,,ოცნების'' წევრებმა.

წყალტუბოში ცნობილი ქართველი კლასიკოსი მწერლის ოტია იოსელიანის დაბადებიდან 91 წლის იუბილე სიმბოლურად აღინიშნა.

ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში ტრადიციულად შეიკრიბნენ მწერლის ნიჭის თაყვანისმცემლები, მწერლები, მსახიობები, ქუთაისის მოზარდ - მაყურებელთა ახალგაზრდული თეატრის "მარჯანიშვილელების" პატარებმა წაიკითხეს ოტია იოსელიანის საბავშვო ლექსები.

ჩვენი სამსახურის ორგანიზებითა და მხარდაჭერით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი ,,ნადური '' უკრაინის ქალაქ სკადოვსკში იმყოფებოდა და კონცერტები გამართა. პირველი დიდი გამარჯვება ანსამბლმა საერთაშორისო ფესტივალზე მოიპოვა, სადაც უკრაინის, პოლონეთის, ბულგარეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ.

ანსაბლმა ,,ნადურმა'' კონცერტი ჩაატარა უკრაინის ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან, შესრულდა საქართველოს ჰიმნი, ასევე უკრაინული ხალხური სიმღერა ,,პლივე კაჩა'', რომელიც მაიდნის ცნობილი მოვლენების შემდეგ ქვეყნის თავისუფლების ჰიმნადაა აღიარებული, ანსამბლ ნადურთან ერთად უკრაინაში იმყოფებოდა წყალტუბოს მოცეკვავეთა ჯგუფი.

ანსამბლმა ,,ნადურმა'' უკრაინის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრი მოიპოვა.

23 ივნისს ჩვენი სამსახურის ორგანიზებით ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე წყალტუბოში გარბენით აღინიშნა. საპრიზო ადგილებზე გასულ მონაწილეებს სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ს/დ "ივერიაში" წყალტუბოს სახალხო თეატრმა პრემიერა "ბადიში" წარმოადგინა.

ერთმოქმედებიანი სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების " მე, ბებია, ილიკო და ილარიონისა" და "სისხლის" მიხედვით დაიდგა. ამ ვერსიის ავტორი სპექტაკლის რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილია. აღნიშნული სპექტაკლით წყალტუბო წარსდგა იმერეთის თეატრაულ ფესტივალზე.

წყალტუბოში ვეტერანი ფეხბურთელის, ,,სამგურალის'' ყოფილი მეკარის, მთავარი მწვრთნელის, ფეხბურთელთა არაერთი თაობის აღმზრდელის ნოდარ კოხრეიძის მემორიალური დაფა გაიხსნა.

2 ივლისს წყალტუბოში ვეტერანი ფეხბურთელის, ,,სამგურალის'' ყოფილი მეკარის, მთავარი მწვრთნელის, ფეხბურთელთა არაერთი თაობის აღმზრდელის ნოდარ კოხრეიძის მემორიალური დაფა გაიხსნა.

21 ივლისს ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის განათლების სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით წყალტუბოს ფოლკლორულმა ანსამბლმა "ნადურმა" და ზუგდიდის- "ოდოიამ", წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში

405

კონცერტი გამართა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საზაფხულო კონცერტები „ხალხური საღამოები" ფესტივალის ფარგლებში.

2 აგვისტოს იაკობ ქაჯაია ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი გახდა. ჩვენი სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოელი გულშემატკივარი საკონცერტო დარბაზ ,,ივერიაში'' შეიკრიბა და დიდ ეკრანზე ერთად ვუგულშემატკივრეთ იაკობ ქაჯაიას!

8 აგვისტოს ,,საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნის" მემორიალთან გაიხსენეს და პატივი მიაგეს 2008 წლის ომში დაღუპული ღირსეული მამულიშვილთა ხსოვნას.

10 აგვისტოს ტოკიოს ოლიმპიური ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ბ/რ ჭიდაობაში იაკობ ქაჯაიას წყალტუბოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეხვედრა მოუწყო. შეხვედრა სპორტის სასახლეში საზეიმო ვითარებაში კოვიდ რეგულაციების დაცვით ჩატარდა.

27 სექტემბერს ,,საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნის" მემორიალთან სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

29 სექტემბერს წყალტუბოში საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. პანდემიის გამო ღონისძიება სახალხო დღესასწაულის ,,შემოდგომის წყალტუბოს'' ფარგლებში რეგულაციების დაცვით ჩატარდა. დაჯილდოების ცერემონიაზე ტრადიციულად ანსამბლმა ნადურმა ,,მრავალჟამიერი'' და წყალტუბოს ჰიმნი შეასრულა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

კულტურის, განათლების, სპორტისა და

ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი: /რ. მარგიანი/

406

ადრესატი:

თენგიზ ნიჟარაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49213296**
თარიღი: **25/11/2021**

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარეს
თენგიზ ნიჟარაძეს

ბატონო თენგიზ,
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 ნოემბრის N48-482132899 წერილის საფუძველზე მოვამზადე განკარგულების პროექტი - ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ", რომელსაც წარმოგიდგენთ კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

408

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ 2021 წლის 26 ნოემბრის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
თენგიზ ნიჟარაძე

409

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

ქ.წყალტუბო 26 ნოემბერი, 2021 წელი

1.წყალტუბოს მუნიპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2021 წლის 9(ცხრა) თვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:თამარ მამარდაშვილი, ფატი გაგოშიძე/

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე.

/მომხს:თამარ მამარდაშვილი, ფატი გაგოშიძე/

3. წყალტუბოს მუნიპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს.მურმან შალამბერიძე,თანამომხს.გიორგი ჩაკვეტაძე/

4.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:თენგიზ ნიჟარაძე, თანამომხს:რიმა მარგიანი/